

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის
2015 წლის 4 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში
ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

28 დეკემბერი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში წოდებული, როგორც „შეთანხმება“) საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის 2015 წლის 4 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში წოდებული, როგორც „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაცია“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 402014351, წარმოდგენილი დირექტორის, პაატა ცინცაძის მიერ,

(ცალ-ცალკე წოდებულნი, როგორც „მხარე“ და ერთად - როგორც „მხარეები“).

მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მემორანდუმში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1.1. შეიცვალოს მემორანდუმის 2.1 პუნქტის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2.1 კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად უზრუნველყოფს.“

1.2. მემორანდუმს დაემატოს 2.1¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1¹. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ალტერნატიული სქემების შესახებ ანგარიშის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში სამინისტრო განიხილავს კომპანიის მიერ წარდგენილ ალტერნატივებსა და ერთ-ერთი მათგანის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წერილობით აცნობებს კომპანიას შერჩეული ალტერნატიული სქემის შესახებ, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობასაც შეისწავლის კომპანია მემორანდუმის დანართი N2-ის შესაბამისად.“

1.3. შეიცვალოს მემორანდუმის 2.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 40 (ორმოცი) თვის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

1.4. მემორანდუმის 2.7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.7. მთავრობა არ მოახდენს ინიცირებას, არ დაამტკიცებს, ნებას არ დართავს, არ დათანხმდება ან/და სხვაგვარად არ მოიწონებს მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ნიშნულების ფარგლებში მდინარე ენგურზე ან/და მისი აუზის სხვა მდინარეებზე (შენაკადებზე) ისეთი ჰიდროელექტროსადგურების ან/და ნებისმიერი სხვა ტიპისა თუ დანიშნულების ისეთი ახალი პროექტების განხორციელებას ან/და არსებულის მოდიფიცირებას, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს პროექტზე კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების განმავლობაში.“

1.5. მემორანდუმის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.10 მუხლი:

„2.10. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ შეასრულა ან/და ასრულებს ამ მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს დადგენილი ვადების და პირობების დაცვით, მაგრამ მთავრობა შეწყვეტს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედებას ან/და არ დადებს კომპანიასთან მემორანდუმს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, ფლობასა და ოპერირებაზე ამ მემორანდუმის პირობების დარღვევით, ასეთ შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია უსასყიდლოდ და ექსკლუზიური საკუთრების უფლებით არ გადასცეს მთავრობას მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ხელთ არსებული ანგარიშები და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (მათ შორის, ნახაზები და გარემოსდაცვითი დოკუმენტები).“

1.6. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №1 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართი N1-ის სახით.

1.7. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №2 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართი N2-ის სახით.

2. მემორანდუმის სხვა მუხლები, დებულებები და დანართები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

5. ამ შეთანხმების ფარგლებში ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კახაძე

შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაცია“

პაატა ცინცაძე

შეთანხმების დანართი N1

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	ქვედა და ზედა ბიეფები ზღვის დონიდან	
ენგურჰესების კასკადი	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, მდ. ენგური	1480 მ	705 მ

7085



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010124218044116

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7741

01 / დეკემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილე,
ნატონ ირაკლი ხმალაძეს

ნატონ ირაკლი,


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 30 ნოემბრის №04/4752 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და მას „პედრო ენერჯი კორპორაციას“ შორის 2015 წლის 4 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

ზ. დხიფაჭანიძე

მინისტრის მოადგილე

ვინა ლორთქიფანიძე



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№2602 2016 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის 2015 წლის 4 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ჰიდრო ენერჯო კორპორაციას“ შორის 2015 წლის 4 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი